დანართი 1

დამტკიცებულია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი
საბჭოს დადგენილება #18, 22/04/2024

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დებულება

თბილისი
2024

მუხლი 1. საგანი და მოქმედების ფარგლები:

1.1. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დებულება განსაზღვრავს შეფასების სისტემასა და მექანიზმებს, რომლითაც ხდება უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება.

1.2. დოკუმენტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის უწყვეტი გაუმჯობესება, სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დაწესებულების საქმიანობის შეფასებაში.

1.3. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის წარმატებით განხორციელებისთვის ძირითადი მოთხოვნებია:

1.3.1.მკაფიო მიზნების/ამოცანების ჩამოყალიბება - სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია მკაფიო სტრატეგიული მიზნები და მათი მიღწევადობის განმსაზღვრელი საზომი ინდიკატორები, რაც თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასა და ხედვასთან. სამოქემდო გეგმაში კი გაწერილია აქტივობები რომლითაც ხდება სტრატეგიული მიზნების მიღწევა.

1.3.2.სტრატეგიული ამოცანების შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI) - სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმაში გაწერილია თითოეული სტრატეგიული ამოცანის მიღწევადობის შემაფასებელი ინდიკატორები, რომელთა მიღწევა რეგულარულად კონტროლდება, თითოეული მიმართულების პროგრესის შეფასების მიზნით.

1.3.3. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები - უნივერსიტეტში პერიოდულად ხორციელდება დაინტერესებული მხარეების (სტუდენტებისთვის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის) გამოკითხვები, რომლითაც ხდება უკუკავშირის და შეფასების მიღება უნივერსიტეტის მმართველობის ეფექტიანობის სხვადასხვა ასპექტებზე.

1.4. ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები შესაბამისია უნივერსიტეტის აკადემიურ სტანდარტებთან, აკრედიტაციის მოთხოვნებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობა.

1.5. მონაცემების დამუშავება/ანალიზი - მართვის ეფექტიანობის შეფასება ყოველწლიურად ხდება სამი მიმართულებით:

1.5.1. მმართველი საბჭოს მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სტრუქტურული ერთეულის წლიური ანგარიშების მოსმენა და შედეგების ანალიზი;

1.5.2. სტრატეგიული სამსახურის მიერ ხდება სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ძირითადი საზომი ინდიკატორების (KPI) ნიშნულების მიღწევადობის შესრულების ანალიზი;

1.5.3.დაინტერებული მხარეების გამოკითხვების შედეგების ანალიზი, რომელსაც შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს.

1.6. აღნიშნული სისტემის გაუმჯობესების მიზნით ყოველწლიურად, სისტემატიურად უნდა ხდებოდეს მონაცემების დამუშავება, ანალიზი, მართვის ეფექტიანობის შეფასება და შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება.

მუხლი 2. მართვის ეფექტიანობის შეფასების სისტემა:

2.1. მართვის ეფექტიანობის შეფასების სისტემა დაფუძნებულია:

2.1.1.სტრუქტურული ერთეულების პროდუქტიულობის რეგულარულ მონიტორინგსა და შეფასებაზე,
2.1.2. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობაზე,
2.1.3. უწყვეტ გაუმჯობესებასა და ანგარიშგებაზე,

2.3.უნივერსიტეტის სტრატეგიული/სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანები მიმართულია უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიცუზრუნველყოფენ დასახული ამოცანის შესრულებას.

2.4.რეგულარული მონიტორინგი და შეფასება დადგენილ კრიტერიუმებთან მიმართებაში, გამოავლენს ძლიერ, სუსტ მხარეებს და გასაუმჯობესებელ სფეროებს.

2.5.შეფასების მონაცემები გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესებისა და სტრატეგიული დაგეგმვის შედეგების მიღწევის ინფორმირებისთვის.

2.3.დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა:

2.3.1. უნივერსიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში ჩართული დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი) მოსაზრებები, უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობის (სწავლება, კვლევა და ამ პროცესების განხორციელებისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი სხვა აქტივობები, სტუდენტების მხარდაჭერის სერვისები, ფინანსური მენეჯმენტი, პერსონალის განვითარება და სხვ.) შესახებ.

2.3.2.დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი და მონაწილეობა უზრუნველყოფს მათი მოსაზრებების გათვალისწინებას გადაწყვეტილების მიღებისას.

2.4. უწყვეტი გაუმჯობესება და ანგარიშგება:

2.4.1.შეფასების შედეგები გამოიყენება მუდმივი გაუმჯობესების ინიციატივების გასატარებლად და საჭიროების შემთხვევაში მაკორექტირებელი ქმედებების განსახორციელებლად.

2.4.2.გაანალიზებული შედეგები აისახება ანგარიშებში. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული ანგარიში მიეწოდება უნივერსიტეტის მენეჯმენტს და დაინტერესებულ

მხარეებს, პროგრესის, მიღწევების, გამოწვევებისა და გაუმჯობესების გეგმების შესახებ მათი ინფორმირების მიზნით.

მუხლი 3. მართვის ეფექტიანობის შეფასება და სამიზნე ნიშნულები

3.1.სტრატეგიული/სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ძირითადი შესრულების ინდიკატორების (KPI) მიღწევადობის შეფასება:

3.1.1.სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის გზით - რომელიც იძლევა ინფორმაციას რამდენად იქნა მიღწეული სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნები, დადგენილი სამიზნე ნიშნულების, ვადების, რესურსების შეფასების შესაბამისად. გარდა ამისა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, გულისხმობს უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ანალიზს.
3.1.2.ყოველი აკადემიური წლის ბოლოს სტრუქტურული ერთეულები წარმოადგენენ მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულების ანგარიშს და მომავალი აკადემიური წლის სამოქმედო გეგმას.
3.1.3.უნივერსიტეტის მართვა შეფასდება ეფექტიანად თუ სტრატეგიული/სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ძირითადი შესრულების ინდიკატორების (KPI) მიღწევადობის დონე საშუალოდ შეადგენს 80%-ს ან მეტს.

3.2 საგანმანათლებლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი) კმაყოფილების მონიტორინგი:
3.2.1. საგანმანათლებლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი) კმაყოფილების მონიტორინგი ხორციელდება სემესტრული/წლიური გამოკითხვის (კმაყოფილების კვლევა და ა.შ. კვლევების) საფუძველზე;
3.2.2.კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზსა და ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შედეგების ანალიზისთვის და/ან ანგარიშის მომზადებისთვის შესაძლებელია გარე სპეციალისტების მოწვევაც. კვლევით გამოვლენილი საკითხების განვითარება/გაუმჯობესებისთვის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს მმართველი ორგანოების ინფორმირებას. ასევე, ინფორმაცია მიეწოდება შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულებს კვლევის შედეგად გამოვლენილი საყურადღებო საკითხების/გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების, უკუკავშირის, ან/და დადებით პრაქტიკად მიჩნეული აქტივობების მოსაზრებების განვითარების მიზნით.
3.2.3.უნივერსიტეტის მართვა შეფასდება ეფექტიანად თუ გამოკითხვაში მონაწილე მხარეების 70% ან მეტი კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია.

მუხლი 4. შეფასების შედეგების ანალიზი და შემდგომი ქმედებები

4.1 მართვის ეფექტიანობის გაანალიზებას ახორციელებს სტრატეგიული განვითარების სამსახური, რომელიც მონაცემების ანალიზისა და შეფასების განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.
4.2 მართვის ეფექტიანობის ანალიზის პროცესის დასრულების შემდეგ, მიღებული შედეგების საფუძველზე სტრატეგიული განვითარების სამსახური შეიმუშავებს შეფასების დოკუმენტს, რომელიც მოიცავს მონიტორინგის შედეგების ანალიზს დადგენილი მდგენელების მიხედვით. არსებობის შემთხვევაში, ხდება აღმოჩენილი ხარვეზების და გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოყოფა. შეფასების შედეგები შეიძლება მოიცავდეს რეკომენდაციებს, რომელიც თავის მხრივ, უნდა აღწერდეს ხარვეზს, რეკომენდაციის მიზნებსა და განსახორციელებელ, მიზანშეწონილ ცვლილებებს. აღნიშნული დოკუმენტი განსახილველად წარედგინება მმართველ საბჭოს.
4.3 დამტკიცების შემდეგ მიღებული რეკომენდაციები სავალდებულოა შესასრულებლად და ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1. აღნიშნული დოკუმენტი ემსახურება ეფექტური მონიტორინგის ინსტრუმენტებისა და შეფასების სისტემების დანერგვას, უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის შეფასებისა და განვითარების მიზნით. აღნიშნული ჩარჩოს დაცვით, ხარისხის სტანდარტების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტი ავითარებს უწყვეტი გაუმჯობესების კულტურას, მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას თავისი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

6.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მიღებისთანავე.

6.2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებს ამტკიცებს უნივერსიტეტის მმართველი საბჭო.